სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

ადრეული ქორწინება და ორსულობა

USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოში აივ პრევენციის პროექტი

საქართველოს ქალთა და ბავშვთა დაცვის კავშირი

საინფორმაციო მასალა დაიბეჭდა აშშ საერთაშორისო სააგენტოს მიერ დაფინანსებული "საქართველოში აივ პრევენციის პროექტის" მხარდაჭერით.

პროექტს ახორციელებს RTI International, Save the Children International, PATH, საზოგადოებრივი გაერთიანება"ბემონი" და საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი "თანადგომა".

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ქალთა და ბავშვთა დაცვის კავშირი
თბილისი, ნუცუბიძის ქ. №8
ტელ: 2 14 44 47
ან ეწვიეთ ვებ-გვერდს: http://www.geoyouth.ge/

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

რა არის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი)?

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი) სხვადასხვა ბაქტერიებით, ვირუსებითა და უმარტივესებით გამოწვეული ინფექციებია, რომლითაც ადამიანი სქესობრივი გზით ინფიცირდება.

ყველაზე გავრცელებული სგგი-ებია:

- ტრიქომონოზი
- გონორეა
- სიფილისი (ათაშანგი)
- ქლამიდიოზი
- გენიტალური ჰერპესი
- პაპილომავირუსული ინფექცია

რა გამოვლინებები და გართულებები შეიძლება ჰქონდეს სგგი-ებს?

სგგი-ს შეიძლება მრავალფეროვანი სიმპტომები ჰქონდეს. ყველაზე ხშირად აღინიშნება სხვადასხვა ტიპის გამონადენი სასქესო ორგანოებიდან, რასაც შეიძლება ახლდეს წვის და ქავილის შეგრძნება. თუმცა, სგგი შეიძლება მიმდინარეობდეს ფარულად, ყოველგვარი გამოვლინების გარეშე. ამიტომ ნებისმიერი შემთხვევითი, დაუცველი სქესობრივი კავშირის შემთხვევაში სასურველია სგგი-ზე ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება.

დაგვიანებული მკურნალობა ან/და თვითმკურნალობა ზრდის სგგი-ის გართულებების განვითარების რისკს, როგორიცაა მენჯის ღრუს ანთებითი დაავადებები, უშვილობა, სიმსივნური დაავადებები და სხვა. დაგვიანებული მკურნალობის შემთხვევაში ზოგიერთი სგგი, მაგალითად სიფილისი, შეიძლება სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს.

როგორ დავიცვათ თავი სგგი-ისგან?

- თავი ავარიდოთ შემთხვევით სქესობრივ კავშირს
- გამოვიყენოთ პრეზერვატივი ყოველი სქესობრივი კავშირის დროს და შევამოწმოთ მისი გამოყენების ვადა
- დაუცველი, შემთხვევითი სქესობრივი კავშირის შემდეგ დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს
- თავი ავარიდოთ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენებას, რადგან ამ დროს ადამიანი წინდაუხედავი ხდება და იზრდება სგგი-ით ინფიცირების რისკი

ადრეული ქორწინება და ორსულობა

რა უარყოფითი მხარეები აქვს ადრეულ ქორწინებას?

- არასასურველი ორსულობა, აბორტი
- ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები
- ადრეული შვილოსნობით გამოწვეული სირთულეები და პრობლემები, რაც უკავშირდება ახალშობილის ჯანმრთელობას
- სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (არასრულფასოვანი განათლება, მწირი შემოსავალი ა.შ)
- შესაძლო განქორწინება

რა უარყოფითი მხარეები აქვს ადრეულ ორსულობასა და მშობიარობას?

- მოზარდებში ორსულობა ხშირად სრულდება არალეგალური აბორტით
- მაღალია ორსულობისა და მშობიარობის გართულებებით გამოწვეული სიკვდილობა
- ორგანიზმის მოუმწიფებლობის გამო ხშირია ორსულობისა და მშობიარობის სხვადასხვა გართულება (მაგ. ნაადრევი მშობიარობა, ახალშობილის დაბალი წონა, მკვდრადშობადობა, თვითნებური აბორტი)
- არაინფორმირებულობის გამო ექიმთან ვიზიტების დაბალი სიხშირე, რაც რისკის ქვეშ აყენებს დედის და ბავშვის ჯანმრთელობას
- მშობიარობის შემდგომი დეპრესია

როგორ ავიცილოთ თავიდან ადრეული ორსულობა და მისი გართულებები?

- მოვერიდოთ სქესობრივი აქტიურობის ნაადრევ დაწყებას
- გამოვიყენოთ კონტრაცეფციის საშუალებები